



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა
ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა

ეკონომიკა

ქუთაისი
2 0 0 8

1. *პროგრამის დასახელება*

ეკონომიკა

2. *მეცნიერების იმ დარგის დასახელება, რომელსაც უკავშირდება პროგრამით განსაზღვრული კვლევა და სწავლება*

ეკონომიკის მეცნიერებები

3. *მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)*

ეკონომიკის დოქტორი
Doctor of Economics

4. *პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი და სტრუქტურული ერთეული*

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ეკონომიკის დეპარტამენტი.

5. *სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება*

პროგრამის მიზანი:

პროგრამის შემუშავების აქტუალობა განპირობებულია საქართველოს ეკონომიკის წინაშე მდგომი ისეთი პრობლემით, როგორცაა: მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, დეიდეოლოგიზირებული მაღალკვალიფიციური მეცნიერ-მკვლევარის ჩამოყალიბება, საგადასახადო და საპენსიო სისტემების ეფექტიანობის ამაღლება, ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესში მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, მსოფლიო ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით საქართველოს როლისა და ადგილის განსაზღვრა გლობალიზაციის პირობებში, რეგიონული პრობლემების მოსაგვარებლად ახალი

მოდელის შემუშავებაში მონაწილეობა, საქართველოში ჯერ კიდევ ფორმირებაში მყოფი მაკროეკონომიკური სკოლა, ამ სფეროში საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან სუსტი კონტაქტები.

სადოქტორო პროგრამის უმთავრესი მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მეცნიერ-ეკონომისტები, რომელთაც ექნებათ:

- სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული ისეთი სამუშაოს დამოუკიდებლად ჩატარების უნარი, რომელიც მოიცავს დასაბუთებულ თეორიულ ან/და ექსპერიმენტულ შედეგებს;

- მაკროეკონომიკურ დონეზე ეკონომიკური პროცესების ანალიზის და პროგნოზირების უნარი, ფუნდამენტური ეკონომიკური პრობლემების და თეორიული საკითხების სიღმისეული ცოდნა;

- თანამედროვე ლიტერატურაზე (მათ შორის უცხოენოვან ლიტერატურაზე) და ინტერნეტ საიტებზე მუშაობის უნარი;

- ქართული ეკონომიკის სპეციფიკური პრობლემების ღრმა ცოდნა და უნარი, საჭიროების შემთხვევაში, მიღებული თეორიული ცოდნის რეალიზების უნარი პრაქტიკული ეკონომიკური პრობლემების კვლევისათვის;

- ზოგადეკონომიკურ დისციპლინათა სწავლების ჩვევები;

- წამყვან სამეცნიერო გამოცემებთან სამეცნიერო კონტაქტების დამყარებისა და სამეცნიერო კონფერენციებში, დისკუსიებში, დებატებში მონაწილეობის უნარი.

მოსალოდელი შედეგები:

პირებს, რომლებსაც წინამდებარე პროგრამის საფუძველზე მიენიჭებათ დოქტორის აკადემიური ხარისხი ეკონომიკაში, უნდა შეძლონ: საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმებისა და ეკონომიკური ტენდენციების ანალიზი, მიღებული შედეგების შეჯერება და სინთეზი, განზოგადებული დასკვნის გაკეთება, ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერული შეფასება და პროგნოზირება, საჯარო

წარმოდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით, ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესში მაკროეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად აუცილებელი გარემო პირობების განსაზღვრა, რეგიონული ეკონომიკის დიფერენცირების, გამოთანაბრების პოლიტიკისა და მართვის ეფექტურობის ზრდის შესახებ მეცნიერული დასკვნების განზოგადება, საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს როლისა და ადგილის მართებულად განსაზღვრა, მონაწილეობა მაკროეკონომიკის განვითარების საშუალოვადიან პროგრამებში, მონაწილეობა რეგიონების განვითარების საშუალოვადიან და სტრატეგიულ პროგრამებსა და პროექტებში, ასევე აღნიშნული მიმართულებით სწავლების წარმართვა უმაღლეს სასწავლებლებში.

კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია
პროგრამის დასრულების შემდეგ:

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ ეკონომიკაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი მაღალკვალიფიციური მეცნიერ-ეკონომისტია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ცოდნით, უნარჩვევებით, ფლობს უახლესი ინსტრუმენტების გამოყენებით ეკონომიკური ანალიზის და პროგნოზირების უნარს, შეუძლია კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის წარმართვა, მონაწილეობს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების ცალკეულ ეტაპებზე, შეუძლია პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის წარმართვა უმაღლეს სასწავლებლებში.

დასაქმების სფეროები

ეკონომიკის დოქტორს წარმატებით შეეძლება მუშაობა როგორც სახელმწიფო, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორებში, ისე ეკონომიკური პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებში, საფინანსო ინსტიტუტებში, სამეწარმეო სექტორში, კონსალტინგურ ცენტრებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

სახელმწიფო სექტორიდან ეკონომიკის დოქტორის დასაქმების სარეკომენდაციო სტრუქტურებად შეიძლება იქნეს განხილული:

- საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (მ.შ. სამინისტროს რეგიონული რგოლები);
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მ.შ. სამინისტროს რეგიონული რგოლები);
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
- საქართველოს პარლამენტის აპარატი;
- საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- საქართველოს ეროვნული ბანკი (მ.შ. რეგიონული რგოლები);
- საქართველოს მთავრობის აპარატი;
- რეგიონული მართვის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;
- საქართველოს თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მმართველობითი ორგანოები.

6. პროგრამის საწვავლო კომპონენტის აღწერა

წინამდებარე სადოქტორო პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულია წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში დოქტორის მომზადების სპეციფიკა და გამოცდილება. ეკონომიკაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მისაღებად დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი.

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა:

№	საგნის დასახელება	სტატუსი	კრედიტი სემესტრებში					
			I	II	III	IV	V	VI
I. სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი)								
I1	საუნივერსიტეტო საგნები:		5	5				
<i>I1.1</i>	<i>სწავლების და კვლევის თანამედროვე მეთოდები</i>	<i>სავალდ.</i>	<i>5</i>					

I.1.2	პედაგოგიური პრაქტიკა	სავალდ.	5					
I.2	ზოგადეკონომიკურ საგნები:		5	5				
I.2.1	თეორიული და გამოყენებითი მაკროეკონომიკა	სავალდ.	5					
I.2.2	ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და მოდელები	არჩევ.	5					
I.2.3	ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება	არჩევ.	5					
I.3	სპეციალური საგნები: (სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა; გეოეკონომიკა და თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; რეგიონული ეკონომიკა და ეკონომიკური პოლიტიკა; სახელმწიფო სექტორის ეკონომიკა; გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა); ¹		10	10	10	5	5	
II. კვლევითი კომპონენტი (120 კრედიტი)			I	II	III	IV	V	VI
II.1	სპეციალური სემინარები და კოლოქვიუმები (წელიწადში ორჯერ)	სავალდ.	5	5	5	5	10	
II.2	სამეცნიერო ნაშრომების შესრულება და გამოქვეყნება	სავალდ.	5	5	5	10	5	
II.3	სადოქტორო ნაშრომის შესრულება	სავალდ.			10	10	10	30
სულ სადოქტორო პროგრამით			30	30	30	30	30	30

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 კრედიტს (საერთო საკრედიტო რესურსის 33,3%). მისი ინგრედიენტებია:

- ა/ საუნივერსიტეტო საგნები – 10 კრედიტი, საკრედიტო რესურსის 5,5%;
- ბ/ ზოგადეკონომიკური საგნები – 10 კრედიტი, საკრედიტო რესურსის 5,5%;
- გ/ სპეციალური საგნები – 40 კრედიტი, საკრედიტო რესურსის 22,2%;

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი შეადგენს 120 კრედიტს (საერთო საკრედიტო რესურსის 66,6%) და მოიცავს: *სპეციალურ სემინარებს და კოლოქვიუმებს* (30 კრედიტი, საერთო საკრედიტო რესურსის 16,7%, კვლევითი კონენტის 25%), *სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას* (30 კრედიტი, საერთო საკრედიტო რესურსის 16,7%, კვლევითი კონენტის 25%) და სადოქტორო დისერტაციის (ნაშრომის) შესრულებას (60 კრედიტი, საერთო საკრედიტო რესურსის 33,3%, კვლევითი კონენტის 50%).

¹ ჩამონათვალის დაზუსტება მოხდება ცალკეული ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამების მიხედვით

დარგობრივი კურსების დაკონკრეტება და მათი კრედიტები სემესტრის მიხედვით განაწილება ინდივიდუალურ კვლევით პროექტებში თემატიკის მიხედვით. პრაქტიკულად იგივე მიდგომებია სპეციალურ კურსებთან (კოლექტივებთან) დაკავშირებითაც. ყველა შემთხვევაში დაცული იქნება პრინციპი, რომლის მიხედვითაც საუნივერსიტეტო, საბაზო და სპეციალური კურსები გადანაწილება ძირითადად პირველი სამი სემესტრის განმავლობაში.

პროგრამის ზოგადი სქემა ეთანადება იმ ძირითად მოთხოვნებს, რასაც ითვალისწინებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება (დამტკიცებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 27 დეკემბრის სხდომის (ოქმი №8) გადაწყვეტილებით).

დოქტორანტს ექმნება პირობები სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად, რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ თეორიულ ან/და ექსპერიმენტულ შედეგებს, რაც მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში დოქტორანტის ჩართვის წინაპირობაა.

7. ეკონომიკაში სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აუცილებელი განსაკუთრებული წინაპირობები

სადოქტორო პროგრამაში მონაწილეობის მინიმალური მოთხოვნებია: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ასევე გერმანული, ფრანგული ან ინგლისური ენის C₁ დონეზე ცოდნა.

პროგრამაზე მიღების კონკრეტული პირობები გასაზღვრულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილების „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის

წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ” მიხედვით (იხ. <http://www.atsu.edu.ge/index.html>), ხოლო პროგრამის გავლის წესები განსაზღვრულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის „დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების” მოთხოვნათა შესაბამისად (იხ. http://www.atsu.edu.ge/geo/siaxleebi/sazogad_mecn_fakult.doqt_debuleba.pdf)

8. იმ დოქტორანტების რაოდენობა, რომელთა მიღება არის შესაბამებული არსებული აკადემიური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკონომიკის დეპარტამენტის აკადემიური და მატერიალური რესურსები საშუალებას იძლევა ეკონომიკის მიმართულებით მიღებულ იქნას 5 დოქტორანტი.

9. პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა

პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზას წარმოადგენს:

- აწლუ სამეცნიერო ბიბლიოთეკა;
- ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალური ბიბლიოთეკა;
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა;
- ქუთაისის სახელმწიფო არქივი;
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკონომიკის დეპარტამენტის ბიბლიოთეკა;
- ეკონომიკის დეპარტამენტის სასწავლო-პრაქტიკული ლაბორატორია;
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის აკადემიური პერსონალის პირადი ბიბლიოთეკა;

ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით. დოქტორანტს საშუალება ექნება ისარგებლოს ინტერნეტ-რესურსებით. ამასთან, ეკონომიკის დეპარტამენტი აქვს თანამედროვე კაბინეტ-ლაბორატორიები და ინვენტარი, რომელიც საკმარისი იქნება დოქტორანტთა მომზადებისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

- ა) ფრიადი (*summa cum laude*) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (*cum laude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (*bene*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების მეთოდიკა

- ა) კომისიის თითოეული წევრი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს ზემოთმოყვანილი სისტემით;
- ბ) სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასებებს შეესაბამებათ რიცხვები 1-დან 7-მდე, შესაბამისობის შემდეგი სქემით: 1-"სრულიად არადამაკმაყოფილებელი", 2-"არადამაკმაყოფილებელი", 3 -"დამაკმაყოფილებელი", 4 - "საშუალო", 5 - "კარგი", 6 - "ძალიან კარგი", 7 - "ფრიადი";
- გ) გამოითვლება აღნიშნული რიცხვების საშუალო არითმეტიკული E_0 ;
- დ) E განისაზღვრება, როგორც E_0 -თან უახლოესი ნატურალური რიცხვი (თუ E_0 არის $n,5$ სახის, მაშინ E განისაზღვრება $n+1$ -ის ტოლად);
- ე) საბოლოო შეფასება არის E რიცხვის შესაბამისი შეფასება ბ) პუნქტში მოცემული სქემის მიხედვით, თუ კომისიის წევრთა არანაკლებ $2/3$ -ისა ნაშრომს შეაფასებს დადებითად (ე.ი. არ შეაფასებს "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" - ით ან "არადამაკმაყოფილებელი" - ით);
- ვ) საბოლოო შეფასება არის „არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა $1/3$ - ზე მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და $E \geq 2$;
- ზ) საბოლოო შეფასება არის „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა $1/3$ მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და $E = 1$.

